

XIX საუკუნის ქართული სალიტერატურო ენის ცვლილებების რამდენიმე ნიმუში ფონოლოგია- ფონეტიკის თვალსაზრისით

თამარ წულაია

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

e-mail: tamar. tsulaia@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2026.11.56>

ერთ-ერთი არსებითი ცვლილება, რაც განხორციელდა ფონეტიკა-ფონოლოგიის სფეროში, იყო ქართული ენის სამწევრა (ხმოვანი, თანხმოვანი, ნახევარხმოვანი) ბგერითი სისტემის ორწევრა (ხმოვანი, თანხმოვანი) სისტემაზე გადასვლა. ენაში მოიშალა ნახევარხმოვნები: **ღ** და უმარცვლო **უ**, რასაც ბუნებრივად მოჰყვა დიფთონგების მოშლა: **ღ-ს** ხარჯზე - დაღმავალი დიფთონგების, ხოლო უმარცვლო **უ-ს** ხარჯზე - აღმავალი დიფთონგების. სამეცნიერო ლიტერატურაში ეს მოვლენა შეფასებულია, როგორც გამარტივებისკენ სწრაფვის გამოვლინება [Gigashvili, 2023; Gigashvili, 2024]. მართალია, ნახევარხმოვნების დაკარგვის ფონეტიკური მიზეზი იყო მათი სუსტი (უმახვილო) პოზიცია, მაგრამ შედეგი იყო ბგერითი სისტემის გამარტივება და, შესაბამისად, ცვლილებაც ამ ტენდენციის ფარგლებში განხორციელდა.

ეღ დაღმავალი დიფთონგის მოშლამ, თავის მხრივ, გავლენა იქონია **ფ** გრაფემის გამოყენების წესზეც, რომელიც სწორედ აღნიშნული დიფთონგის გრაფიკულ სიმბოლოს წარმოადგენდა, ხოლო **უი** აღმავალი დიფთონგის მოშლამ - **ჟ** გრაფემის გამოყენების წესზე, რომელიც ასევე **უი** დიფთონგს გამოხატავდა გრაფიკულად. მართალია, **ფ-ს** ფუნქციაზე სხვადასხვა აზრია გამოთქმული [ჯავახიშვილი, 1949: 201; ყაუხჩიშვილი, 1944: 417, 420; ძიძიშვილი, 1960: 26-27; კაკაბაძე, 1929: 16; ქავთარაძე, 1964: 53] მაგრამ უძველეს წერილობით ძეგლებში ის, ძირითადად, **ეღ** დიფთონგის გადმოსაცემად იხმარება [სარჯველაძე, 1984: 277].

ფონემატური სისტემის გამარტივება წარიმართა კიდევ ერთი ფონემის - **ჟ** თანხმოვნის დაკარგვით. ძველ ქართულში იგი უპირისპირდებოდა **ხ** თანხმოვანს, რომელმაც შემდგომში მისი ადგილი დაიკავა ყველა შესაძლო შემთხვევაში. ჰესპელმათის თეორიას თუ მოვიშველიებთ, დაიკარგა ნაკლები ხმარების სიხშირით გამორჩეული ბგერა.

ფონემების დაკარგვამ შედარებით გამარტივა ენის ფონემატური სისტემა, სამაგიეროდ დაამძიმა ორთოგრაფიის სფერო. შუა საუკუნეების ზოგიერთი გადამწერი, რომელსაც ცოცხალ მეტყველებაში უკვე აღარ ესმოდა შესაბამისი ბგერები, მათი აღმნიშვნელი გრაფემების გამოყენების წესებში ვეღარ ერკვეოდა და ხშირად მათ წერდა უფუნქციოდ. ასე თანდათან იჩინა თავი სხვადასხვა სახის ორთოგრაფიულმა შეცდომამ: შებრუნებულმა დაწერილობებმა, კონტამინირე-ბულმა დაწერილობებმა, „ოტამეტობამ“ და ა. შ. ეს გრაფიკული ნიშნები სალიტერატურო ენას XIX საუკუნის II ნახევრამდე (და ნაწილობრივ შემდეგაც) შემოჰყვა. ამ გრაფემების უფუნქციო გამოყენება იყო ერთ-ერთი არსებითი ნაწილი იმ მემკვიდრეობისა, რომელიც XIX საუკუნის ქართულ სალიტერატურო ენას გადმოეცა. თუ შუა საუკუნეების გადამწერები ვეღარ ერკვეოდნენ **ჭ**-ს გამოყენების წესებში, ეს მით უფრო ითქმის XIX საუკუნის მწერლებსა და ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლებზე. ამ პერიოდის ტექსტებისთვის განსაკუთრებით ნიშანდობლ-ივია **უჭ** დაწერილობა, სადაც **ჭ** გრაფემა **ე**-ს ეკვივალენტია. ზურაბ სარჯველაძე ამ დაწერილობას **ჭ**-ს „უწესო“ ხმარების მაგალითად თვლის. იგი სალიტერატურო ენაში X საუკუნიდან იჩენს თავს [სარჯველაძე, 1984: 281].

ნიმუშები XIX საუკუნის ძეგლებიდან: გიორგი ერისთავის პიესებიდან: „ჩუჭულე-ბრივ თქუჭნ სადილთუკან მოისვენეთ და ჩუჭნ გაიხელით“ (გიგაშვილი, 2015: 48); „შე პლუტო ქუჭყნის დამლუპაო“ [იქვე, 81]; დიმიტრი მელვინეთხუცესოვის პიესებიდან: „ნეტავი ჩუჭნც წავსულიყავით“ [იქვე, 157]; „ჩუჭნ არაფერი გაგვიჭირდება“ [იქვე, 162]; პლატონ იოსელიანის წერილებიდან: „ერიცა ქართუჭლთა არა დარჩენილ-არს უძრავად“ [გიგაშვილი, ნინიძე, 2019: 16]; ისტუმრებს თქუჭნთან“ [იქვე, 17]; „საქართუჭლოს აზნაურ-შვილი“ [იქვე, 18]; ჟურნალ „ცისკრის“ პუბლიკაციებიდან: „პირუჭლი და უსაშინელესი ჩუჭნი ცოდვა“ [ცისკარი, 1862, #9: 4]; „თქუჭნც გაგიგონიათ... ჩუჭნ შორის არის...“ [იქვე]; გრიგოლ ორბელიანის წერილებიდან: „ამავე სიტყუჭბითა გლოცავენ ყოველნი თქუჭნნი ნათესავნი და ძველად პატივისმცემელნი თქუჭნისა ოჯახისა“ [გიგაშვილი, ნინიძე, გოცირიძე, 2023: 16]; „ეგების დაასწროთ თქუჭნ სხუათა და თქუჭნ ყველაზე პირველად ჰსთხოვოთ“ [იქვე: 58] და სხვ.

რადგანაც გრაფიკას შევეხეთ, აღვნიშნავთ, რომ ცვლილება **უ** ბგერის გრაფიკულ გამოსახულებაში უნიფიკაციის ტენდენციის გამოვლინებად მიგვაჩნია. მისი გრაფიკული

გამოსახვის წესი განცალკევებით იდგა ყველა სხვა ქართული ბგერის გადმოცემის წესისგან: ძველ ქართულში იგი ორი ასოს საშუალებით ჩაიწერებოდა. შემდეგ და შემდეგ ერთი ასოთი გადმოიცემოდა. აქ ასიმეტრიული სისტემის სიმეტრიულად ქცევის ტენდენციაც შეინიშნება, რომელიც ზემოთ ვახსენეთ: ცვლილების შედეგად ასიმეტრია მოიშალა და გრაფიკული წესრიგიც აღდგა.

/ა/-ს შემცველი დამავალი დიფთონგების მოშლას ზურაბ სარჯველაძე ხანმეტ ტექსტებში ადასტურებს, პროცესის დასასრულს კი - სინურ მრავალთავში. IX-XIII საუკუნეებში შეინიშნება დარღვევები მისი გამოყენების წესებში [სარჯველაძე, 1984: 285]. **ა** გრაფემის ხმარება XIX საუკუნის ტექსტებში სიხშირით არ გამოირჩევა. ის, ძირითადად, პიესებში გამოიყენება: ნიმუშები ვოდევილებიდან: „**ვაა** დედავ“ [გიგაშვილი, 2015ა: 37]; „**ვაამე**“ „**რაა**ცა“ „**ვაა**, ჩემო შვილებო! **ვაა** ჩემო მამულებო“ „**ვაა** ჩემი ბრალი“ [გიგაშვილი, 2015ბ: 75]; „**ვაამე** მშობელო“ [იქვე]; „**აა...** ვენაცვალე“ [იქვე: 127]; „**ვაა** ჩემო კახურო, **ვაა** არტალავ ჩემო“ [იქვე: 55]; და სხვ.

ჰ გრაფემა უფრო ხშირად იხმარება და, ძირითადად, **უი** აღმავალ დიფთონგს გადმოსცემს, განსაკუთრებით **თჰს** თანდებულში: ჩემთჰს [გიგაშვილი, 2015ა: 40; კაცისათჰს (იქვე: 41); სახლისათჰს (იქვე: 160); მძისთჰსა (იქვე: 167); დღისთჰსაო [იქვე: 167]. იშვიათად **ვი** ბგერათმომდევრობას გამოხატავს, სადაც **ვ** არ არის უმარცვლო **უ** ბგერის ეკვივალენტი: თაჰსთვის [იქვე: 51]; „მარჯვნივ **სჰ**მონის სახლსა“ [გიგაშვილი, 2015ბ: 55]; „გამოჰპარჯა ცოლსა“ [იქვე: 14]; „თაჰსი შესაფერი ცოლი შეურთავს“ [იქვე: 138] „ბიჭი გეურქასი **სჰ**მონიკა“ (180); „გლები ცოლ-**შჰ**ლითა“ (იქვე); „შოვნა ადჰლი“ [გიგაშვილი, ნინიძე, 2019: 20] და სხვ.

საკმაოდ ხშირია უმარცვლო **უ**-ს გამოყენება XIX საუკუნის ტექსტებში, განსაკუთრებით **უა** კომპლექსში, იმდენად ხშირი და გავრცელებული, რომ ნიმუშებს დავიმოწმებთ კონტექსტებისა და ავტორების მითითების გარეშე: სხუა, რისხუა, სიტყუა, სიყუარული, მჭუალი, ცუალება, თაყუანისცემა, სამზღუარი, ორგუარი, მოიყუანეს, მეთქუა, მიყუარს, ნათქუამია, აქუს, გუაქუს და სხვა მრავალი.

ჴ გრაფემა გამოიყენება როგორც სიტყვა ჴელში და მისგან ნაწარმოებ სიტყვებში, ისე სხვა ლექსიკურ ერთეულებშიც: „ჩემ ჴელმწიფეს ხანს“ [გიგაშვილი, 2015ა: 46]; „ჴელებზედ ისუნავს ცხვირზედ მოივლებს ჴელსა“ [იქვე]; „ჴარი შეუშვიათ“ [გიგაშვილი, 2015ბ: 19]; „ჴელადა ღვინოს ასმევენ“ [იქვე: 26]; „უპატრონო ჴარი“ [იქვე: 27]; „ძან საჴრები აგაყვანო“ [იქვე: 28]; „ამ საჴლებსაც“ [იქვე: 66]; ჴარჯით“ [გიგაშვილი, ნინიძე, 2019: 31]; „ჴმაურობს“ [იქვე: 32] და სხვ.

არცთუ იშვიათად გვხვდება **ფ** გრაფემაც: „რო სმენ შა**ფ**ანცკ“ [გიგაშვილი, 2015ა: 53]; „ხედავს რომ **ფ**ატიმ არ ეშვება“ [იქვე: 59]; „**ფ**უ შე უგუნურო“ [იქვე: 63]; „ხელით **ფ**იხტოვათ შვრება“ [იქვე: 88]; ა**ფ**იცერსა ჰკითხე“ [გიგაშვილი, 2015ბ: 182], „ლეკციები **ფ**იზიოლოგიიდან“ [გიგაშვილი, ნინიძე, 2019: 126]; „შენ ახლა უნდა იყო შენს ქულ**ფ**ათში“ [გიგაშვილი, ნინიძე, 2013: 106]; „**ფ**ურაშკას ჰმაღავს გარეთ“ [იქვე: 59]; „შენის **ფ**ურაჟისათვის მე ვერ გიბძანე[ბ]“ [იქვე: 56] და სხვ.

ზურაბ ანტონოვის პიესაში „მზის დაბნელება“ ერთგან გამოყენებულია **ჟ** გრაფემაც, თუმცა უფუნქციოდ: „**ჟ**ი განგებაო!“ [გიგაშვილი, 2015ბ: 190].

ფონეტიკური პროცესების თვალსაზრისით, ძველ ქართულსა და ახალ ქართულს შორის მნიშვნელოვანი სხვაობა არ გვაქვს. XIX საუკუნის ქართულშიც ისევე გავრცელებული ასიმილაცია, დისიმილაცია, ბგერის დაკარგვა, ბგერის განვითარება, კუმშვა, კვეცა, მეტათეზისი და ა. შ., როგორც ძველ ქართულში.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ XIX საუკუნის ენაში უფრო მეტად შენარჩუნებულია აღმავალი დიფთონგები **უა** და **უი**. ეს უკანასკნელი გადმოიცემა **ჟ** გრაფემით. თავის მხრივ, **ჟ** ზოგჯერ ისეთ შემთხვევებშიც გამოვლინდება, სადაც უმარცვლო **უ** არ ივარაუდება, როგორცაა, მაგ., **შჯლი**, **თაჯსი**, **გამოჰჰარჯა**, **სჯმონიკა** და სხვა, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ იგი ინერციის სახითაა იხმარება და ამ პერიოდის მოღვაწეებს არ ესმით მისი ფუნქცია. **ფ** დასტურდება მხოლოდ **უფ** კომპლექსში. ეს დაწერილობა, რომელიც **ფ**-ს უფუნქციოდ ხმარების შემთხვევებს განეკუთვნება, XIX საუკუნემ საშუალო ქართულისგან მიიღო. როგორც ჩანს, ამ გაუმართავი კომპლექსის სიცოცხლისუნარიანობა განაპირობა მისმა სიხშირემ შუა საუკუნეების ძეგლებში და მე-19 საუკუნის მოღვაწეებმა ის მიიღეს, როგორც ნორმა. **ფ** გრაფემა საანალიზო პერიოდში აღარ გამოხატავს **იე** დიფთონგს. **ჯ** გრაფემის შესატყვისი ფონემა მე-19 საუკუნის ცოცხალ სასაუბრო მეტყველებაში მოშლილია, თუმცა გრაფიკული ნიშანი ინერციის ძალით ჯერ ისევ იხმარება. დასტურდება ისეთ შემთხვევებშიც, სადაც ძველ ქართულში არასდროს გამოიყენებოდა, როგორცაა **საჯლი**, **ჯარჯი**, **ჯმაური** და ა. შ. მე-19 საუკუნის ტექსტებში გამოვლინდება **ფ** გრაფემაც **ფ**-ს გადმოსაცემად.

საკვანძო სიტყვები: ფონეტიკურ-ფონოლოგიური ცვლილებები, ქართული სალიტერატურო ენა, სამწერვა და ორწერვა სისტემა.

Tamar Tsulaia

Akaki Tsereteli state University

Kutsiai, Georgia

e-mail: tamar.tsulaia@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2026.11.56>

Several examples of Phonological and phonetic Changes in the XIXth century Georgian literary language

Abstract

The study present below, concerns the significant phonetic and phonological changes that occurred in the Georgian literary language of the 19th century.

In particular, we aim to discuss the transition of the Georgian three-member sound system (vowel, consonant, semivowel) into a two-member system (a vowel and a consonant). In scholarly literature, this phenomenon is often perceived as an expression of tendency towards simplification. Even though the reason behind the loss of semivowels was their weak (unstressed) position, the result was a simplification of the sound system; therefore, the change took place within this general tendency.

The paper discusses how the loss of phonemes simplified the phonematic system of the language, while at the same time, complicating the field of orthography. Medieval scribes, who could no longer perceive the corresponding sounds in spoken language, were confused about the rules for using the graphemes that represented them and often utilized them without function. Gradually, it resulted in emergence of various types of orthographic errors – such as reversed spellings, contaminated spellings, etc. These graphic signs remained in the literary language up to the second half of the 19th century (and, to a certain degree, even beyond). The functionless use of these graphemes was one of the essential elements of the linguistic heritage passed down to the Georgian literary language of the 19th century.

Keywords: phonemic and phonological changes; Georgian literary language; three – and two – member sound system.